

## საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2023 წლის იანვარი-ივნისი

2023 წლის იანვარ-ივნისში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 10 268.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 20.1% პროცენტით მეტია. ექსპორტი 19.3 %-ით გაიზარდა და 3 052.8 მლნ. აშშ დოლარს შეადგინა, ხოლო იმპორტი გაიზარდა 20.4%-ით და 7 215.8 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა. საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 4 163.0 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 40.5 პროცენტია.

## უმსხვილესი სასაქონლო პოზიციები ადგილობრივ ექსპორტში

ადგილობრივი ექსპორტი (ექსპორტი რეექსპორტის გარეშე) წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 21.6% -ით შემცირდა, 1 473.7 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა და მთლიანი ექსპორტის 48.3% შეადგინა.

### ძირითადი პოზიციები ადგილობრივ ექსპორტში:

- ტრიკოტაჟის ნაწარმი - 37.0 მლნ. აშშ დოლარი (კლება 13%)
- ოქრო - 45 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 4%)
- სპირტიანი სასმელები - 46.0 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 43%)
- ელექტროენერგია - 52 მლნ. აშშ დოლარი (კლება 2%)
- უალკოჰოლო სასმელები - 58 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 79%)
- მინერალური წყალი - 65 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 46%)
- აზოტოვანი სასუქები - 98 მლნ. აშშ დოლარი (კლება 41%)
- ფეროშენადნობი - 110 მლნ. აშშ დოლარი (კლება 63%)
- ღვინო - 126 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 26%)
- სპილენძის მადნები და კონცენტრატები - 336 მლნ. აშშ დოლარი (კლება 37%)
- 

## უმსხვილესი სასაქონლო პოზიციები რე - ექსპორტში

რე-ექსპორტი 132%-ით გაიზარდა, 1579 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და მთლიანი ექსპორტის 51.7% დაიკავა. ზრდა ძირითადად შემდეგი პოზიციების ხარჯზე განხორციელდა:

- სიგარეტები - 52.1 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 3-ჯერ)
- სატვირთო ავტომობილები - 19.3 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 153%)
- მიკროავტობუსები - 20.6 მლნ. აშშ დოლარი (2022/6- გავიდა უმნიშვნელო რაოდენობით)
- სამედიცინო ხელსაწყოები - 21.4 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 151%)
- გამომთვლელი მანქანები - 21.6 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 10-ჯერ)
- სამკურნალო საშუალებები - 38.0 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 97%)
- მსუბუქი ავტომობილები - 991 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 4-ჯერ)


საქართველოს საგარეო ვაჭრობის დინამიკა 2017-2023 წლის იანვარი-ივნისის მდგომარეობით

მილიონი აშშ დოლარი	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023/6
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	10,803	12,742	13 318	11 398	14 342	19 184.9	10 268.6
ზრდა%	14%	18%	5%	-14%	26%	33%	20%
ექსპორტი	2,746	3,380	3 798	3 344	4 242	5 592.8	3 052.8
ზრდა%	30%	23%	12%	-12%	27%	32%	19%
იმპორტი	8,057	9,362	9 519	8 053	10 099	13 592.1	7 215.8
ზრდა%	10%	16%	2%	-15%	25%	33%	20%
საგარეო ვაჭრობის სალდო	-5 311.4	-5 982.1	-5 720.8	-4 709	-5 857	-7 993.3	-4 163.0
ზრდა%	2%	13%	-4%	-18%	24%	34%	19%
ადგილობრივი ექსპორტი	2,008	2,226	2 324	2 408	3 127	3 704.2	1 473.7
ზრდა%	24%	11%	4%	4%	30%	18%	-21.6%

საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები ბრუნვის მიხედვით

2023 წლის იანვარ-ივნისში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 68.6 პროცენტი შეადგინა. ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან: თურქეთი (1 457.7 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (1 271.2 მლნ. აშშ დოლარი) და აშშ (820.9 მლნ. აშშ დოლარი).


საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები  
2023 წლის იანვარი-ივნისი, ბრუნვის მიხედვით  
(მლნ. აშშ დოლარი)



## საქართველოს ექსპორტი


2023 წლის იანვარ-ივნისში ათი უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 80.6% შეადგინა. უმსხვილესი საექსპორტო სამეული შემდეგია: სომხეთი (440.0 მლნ. აშშ დოლარი), აზერბაიჯანი (413.3 მლნ. აშშ დოლარი) და რუსეთი (343.9 მლნ. აშშ დოლარი).

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2023 წლის იანვარ-ივნისის ექსპორტის მიხედვით (მლნ.აშშ დოლარი)



2023 წლის იანვარ-ივნისში სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი მსუბუქმა ავტომობილებმა დაიკავა 990.9 მლნ. აშშ დოლარით, რაც მთელი ექსპორტის 32.5%-ს შეადგენს. მეორე ადგილს იკავებს სპილენძის მადნები და კონცენტრატები 341.3 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 11.2%), ხოლო მესამე ადგილზეა ყურძნის ნატურალური ღვინოები 126.0 მლნ. აშშ დოლარით (4.1%).

უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები საქართველოს ექსპორტში 2023 წლის იანვარ-ივნისში



საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი 32%-ით გაიზარდა და 663.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო სამრეწველო პროდუქციის ექსპორტი გაიზარდა 16%-ით და 2389.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

#### საქართველოს ექსპორტის ზრდა დაფიქსირდა შემდეგ ძირითად სასაქონლო პოზიციებზე:

- **ხილ-ბოსტნეულის წვენები** - ექსპორტი 9 მლნ აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 41%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 38% (ზრდა 101%), აშშ 17% (ზრდა 45%), გერმანია 11% (ზრდა 4-ჯერ).
- **ცოცხალი ცხვარი** - ექსპორტი 10.8 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 71%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: საუდის არაბეთი 43% (ზრდა 85%), აზერბაიჯანი 25% (კლება 89%), ერაყი 12% (2022/6-0).
- **უალკოჰოლო სასმელები** - ექსპორტი 59.0 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 80%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 57% (ზრდა 168%), ყაზახეთი 12% (ზრდა 164%), აზერბაიჯანი 11% (ზრდა 10%),
- **მინერალური წყალი** - ექსპორტი 65.5 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 46%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 50% (ზრდა 76%), ყაზახეთი 14% (ზრდა 24%), ლიეტუვა 7% (ზრდა 17%), უკრაინა 11% (ზრდა 29%).
- **სპირტიანი სასმელები** - ექსპორტი 83.7 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 58%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 30% (ზრდა 82%), უკრაინა 15% (ზრდა 34%), საფრანგეთი 14% (ზრდა 124%), ესპანეთი 7% (წინა წელს გავიდა უმნიშვნელო რაოდენობით), ბელარუსი 10% (ზრდა 73%).
- **ღვინო** - ექსპორტი 126 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 26%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 65% (ზრდა 41%), პოლონეთი 5% (კლება 10%), უკრაინა 5% (ზრდა 90%), ჩინეთი 5% (კლება 16%).
- **სიგარეტები** - ექსპორტი 53.5 მლნ აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 170%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ყირგიზეთი 60% (2022/6-0), ყაზახეთი 30% (ზრდა 35%), უზბეკეთი 4% (2022/6-0).
- **სამედიცინო და ვეტ ხელსაწყოები** - ექსპორტი 26.0 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 32%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ჩინეთი 59% (ზრდა 40%), სინგაპური 4% (ზრდა 38%), რუსეთი 2% (ზრდა 6%).
- **მიკროავტობუსები** - ექსპორტი 20.6 მლნ აშშ დოლარი (2022/6- გავიდა უმნიშვნელო რაოდენობით). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: სომხეთი 95%, აზერბაიჯანი 3%.
- **ბულდოზერები, ავტო გრეიდერები** - ექსპორტი 20.0 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 67%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: სომხეთი 75% (ზრდა 51%), აზერბაიჯანი 17% (ზრდა 124%).
- **მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი** - ექსპორტი 26.0 აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 44%). ერაყი 80% (ზრდა 114%), აზერბაიჯანი 18% (კლება 18%), სომხეთი 2% (ზრდა 2-ჯერ).
- **გამომთვლელი მანქანები** - ექსპორტი 24.1 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 6-ჯერ). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ლიეტუვა 47% (7-ჯერ), სომხეთი 21% (ზრდა 5-ჯერ).

- **ოქრო** - ექსპორტი 45.2 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 4%). საექსპორტო ბაზრები: შვეიცარია 86% (კლება 1%), თურქეთი 10% (ზრდა 3-ჯერ), ემირატები 4% (ზრდა 3-ჯერ).
- **მსუბუქი ავტომობილები** - ექსპორტი 991 მლნ აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 3-ჯერ). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ყირგიზეთი 24% (ზრდა 18-ჯერ), ყაზახეთი 24% (ზრდა 8-ჯერ), აზერბაიჯანი 23% (ზრდა 2-ჯერ), სომხეთი 19% (ზრდა 12-ჯერ),


#### საქართველოს ექსპორტის კლება დაფიქსირდა შემდეგ ძირითად სასაქონლო პოზიციებზე:

- **თხილი** - ექსპორტი 35.8 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 12%) ძირითადი საექსპორტო ბაზრები: გერმანია 17% (კლება 35%), იტალია 15% (კლება 48%), ესპანეთი 9% (ზრდა 9%), თურქეთი 9% (2022/6-0).
- **მედიკამენტები** - ექსპორტი 48.9 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 1%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: უზბეკეთი 46% (კლება 16%), აზერბაიჯანი 25% (ზრდა 17%), სომხეთი 11% (ზრდა 52%).
- **ძვირფასი ლითონის მადნები** - 30.0 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 30%). საექსპორტო ბაზრები: ჩინეთი 95% (კლება 29%), ბელგია 5% (2022/5-0).
- **ტრიკოტაჟის ნაწარმი** - ექსპორტი 38.2 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 12%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: თურქეთი 81% (კლება 25%), ჩეხეთი 10% (2022/6-0).
- **ფეროშენადნობი** - ექსპორტი 109.6 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 64%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 41% (კლება 47%), აშშ 28% (კლება 77%), თურქეთი 18% (კლება 50%).
- **აზოტოვანი სასუქები** - ექსპორტი 98.5 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 41%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: პერუ 44% (კლება 48%), რუმინეთი 15% (ზრდა 4%), ტანზანია 9% (ზრდა 168), ინდოეთი 8% (კლება 67%).
- **სპილენძის მადნები და კონცენტრატები** - ექსპორტი 341.3 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 36%). საექსპორტო ბაზრები: ბულგარეთი 41% (კლება 23%), ჩინეთი 46% (კლება 50%), ესპანეთი 11% (2022/6-0).

#### საქართველოს იმპორტი


2023 წლის იანვარ-ივნისში ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 70.5% შეადგინა. პირველ სამეულში შედის: თურქეთი (1 246.9 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (927.3 მლნ. აშშ დოლარი) და აშშ (775.2 მლნ. აშშ დოლარი)

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები  
2023 წლის იანვარ-ივნისის იმპორტის მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)



უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2023 წლის 6 თვეში წარმოდგენილი იყო მსუბუქი ავტომობილების სახით, რომლის იმპორტმა 1 313.5 მლნ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 18.2% შეადგინა. მეორე ადგილს ნავთობი და ნავთობპროდუქტები 496.8 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 6.9%), ხოლო მესამე ადგილზეა ნავთობის აირები 275.6 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 3.8%).

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები  
2023 წლის იანვარ-ივნისის იმპორტის მიხედვით  
(მლნ. აშშ დოლარი)



სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი 23% გაიზარდა და 968 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო სამრეწველო პროდუქციის იმპორტი 20% გაიზარდა და 7 905 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

#### იმპორტი საქართველოში გაიზარდა შემდეგ ძირითად სასაქონლო პოზიციებზე:


- **ნაღების კარაქი** - 20.0 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 31%). იმპორტიორი ქვეყნებია: საფრანგეთი 35% (ზრდა 77%), ირანი 10% (2022/6 უმნიშვნელო რაოდენობით განხორციელდა) ნიდერლანდები 7% (ზრდა 5-ჯერ), ურუგვაი 10% (კლება 32%).
- **მცენარეული ზეთი** - 20.0 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 41%). იმპორტიორი ქვეყნებია: რუსეთი 85% (ზრდა 63%), უკრაინა 13% (ზრდა 4-ჯერ).
- **ხორბალი** - 21.0 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 23%). იმპორტიორი ქვეყნებია: რუსეთი 98% (ზრდა 35%), უკრაინა 2% (2022/6-0).
- **ღორის ხორცი გაყინული** - იმპორტი 31.4 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 57%). იმპორტიორი ქვეყნები: ბრაზილია 85% (ზრდა 74%), კანადა 9% (კლება 20%).
- **შაქარი** - იმპორტი 37.8 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 15%), იმპორტიორი ქვეყნებია: ბრაზილია 53% (ზრდა 71%), საფრანგეთი 16% (ზრდა 5-ჯერ), ინდოეთი 7% (2022/6-0), მაროკო 6% (2022/6-0).
- **ფრინველის ხორცი და სუბპროდუქტები გაყინული** - იმპორტი 46.0 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 12%). იმპორტიორი ქვეყნები: ბრაზილია 25% (ზრდა 16%), ჩინეთი 21% (ზრდა 105%), თურქეთი 17% (კლება 0.3%).
- **მეტალოკონსტრუქციები** - 61.0 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 66%). იმპორტიორი ქვეყნებია: თურქეთი 51% (ზრდა 45%), ინდოეთი 22% (2022/6 -0), ავსტრია 8% (კლება 28%).
- **მსუბუქი ავტომობილები** - 1 313 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 95%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნებია: აშშ 55% (ზრდა 80%), იაპონია 17% (ზრდა 172%), გერმანია 11% (ზრდა 137%), თურქეთი 5% (ზრდა 1%).
- **სატელეფონო აპარატები** - 181.4 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 44%). იმპორტიორი ქვეყნებია: არაბთა გაერთიანებული საამიროები 49% (ზრდა 102%), ჩეხეთი 22% (ზრდა 158%), ვიეტნამი 8% (ზრდა 95%).
- **ნავთობის აირები** - 275.6 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 19%). იმპორტიორი ქვეყნებია: აზერბაიჯანი 69% (კლება 2%), რუსეთი 31% (ზრდა 115%).
- **სამკურნალო საშუალებები** - 264.4 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 35%) იმპორტიორი ქვეყნებია: თურქეთი 26% (ზრდა 107%), შვეიცარია 14% (ზრდა 2-ჯერ), გერმანია 10% (ზრდა 37%), საფრანგეთი 6% (კლება 5%), უნგრეთი 6% (ზრდა 14%).

#### საქართველოში იმპორტის კლება დაფიქსირდა შემდეგ ძირითად სასაქონლო პოზიციებზე

- **მანგანუმის მადნები** - 6.4 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 68%). იმპორტიორი ქვეყნებია: გაბონი 70% (კლება 77%), თურქეთი 20% (ზრდა 166%).
- **ხორბლის ფქვილი** - 25.2 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 14%). იმპორტის 97% განხორციელდა რუსეთიდან (კლება 15%).

- **ბვირფასი ლითონის მადნები** - 35 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 22%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყანა: სომხეთი 98% (კლება 23%),).
- **სპილენძის მადნები და კონცენტრატები** - 178 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 54%). იმპორტიორი ქვეყნებია: სომხეთი 67% (კლება 35%), ინდონეზია 15% (კლება 53%), ჩილე 12% (კლება 66%).
- **ნავთობი და ნავთობპროდუქტები** - 497.0 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის შემცირება 14%). იმპორტიორი ქვეყნებია: რუსეთი 65% (ზრდა 75%), რუმინეთი 15% (კლება 42%), თურქმენეთი 6% (კლება 70%), საბერძნეთი 4% (ზრდა 59%).

### რეგიონალური ვაჭრობა



### საქართველო - ევროკავშირის საგარეო სავაჭრო ბრუნვა

ევროკავშირთან ბრუნვა 21%-ით გაიზარდა, 2 134 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და მთლიანი ბრუნვის 21% დაიკავა (2022/6 - 21%). ექსპორტი შემცირდა 8%-ით, 398 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს მთლიანი ექსპორტის 13% შეადგინა (2022/6-17%). იმპორტი 31%-ით გაიზარდა და 1 736 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, საქართველოს მთლიანი იმპორტის 24% დაიკავა (2022/6- 22%).

ევროკავშირში ადგილობრივი ექსპორტი 7%-ით შემცირდა, 285 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს მთლიანი ექსპორტის 81% დაიკავა.

### ექსპორტი

სასოფლო-სამეურნეო ექსპორტი გაიზარდა 5%-ით და 81 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო 25-სამრეწველო პროდუქცია შემცირდა 11%-ით და 316 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.



### ექსპორტი გაიზარდა შემდეგ პროდუქციაზე:

- სპირტიანი სასმელები - ექსპორტი 19.8 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 78%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: საფრანგეთი 53% (ზრდა 124%), ესპანეთი 27% (ზრდა 8-ჯერ).
- ხილ-ბოსტნეულის კონსერვები - ექსპორტი 4.7 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 52%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: გერმანია 52% (ზრდა 188%), იტალია 16% (ზრდა 174%).
- მინერალური წყალი - ექსპორტი 6.3 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 43%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: ლიეტუვა 70% (ზრდა 40%), გერმანია 15% (ზრდა 158%).
- საბურავები და რეზინის პნევმატური სალტები - ექსპორტი 7.9 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 203%). ექსპორტის განხორციელდა პოლონეთში 39% (ზრდა 3-ჯერ), ნიდერლანდები 20% (ზრდა 3-ჯერ), ესტონეთში 14% (ზრდა 14-ჯერ).
- გამომთვლელი მანქანები - ექსპორტი 16.5 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 10-ჯერ). ექსპორტი განხორციელდა ლიეტუვაში 69%, პოლონეთი 30%.
- აზოტოვანი სასუქები - ექსპორტი 26.6 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 84%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: რუმინეთი 57% (ზრდა 4%), ლიეტუვა 19% (2022/6-0).
- სპილენძის მადნები და კონცენტრატები - ექსპორტი 179 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 16%). ექსპორტი განხორციელდა ბულგარეთში 78% (კლება 34%), ესპანეთში 22% (2022/6-0).

### ექსპორტი შემცირდა შემდეგ პოზიციებზე:

- ფეროშენადნობი - ექსპორტი 2.5 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 88%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: საფრანგეთი 60% (კლება 52%), ნიდერლანდები 10% (2022/6-0).
- მსუბუქი ავტომობილები - ექსპორტი 13.2 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 25%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ბელგია 85% (კლება 24%), რუმინეთი 6% (კლება 38%).
- ღვინო - ექსპორტი 14.4 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 12%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: პოლონეთი 47% (კლება 10%), გერმანია 17% (ზრდა 25%), ლატვია 14% (კლება 16%).
- თხილი - ექსპორტი 20.7 მლნ. აშშ დოლარი (კლება 31%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: გერმანია 29% (კლება 35%), იტალია 26% (კლება 48%), ესპანეთი 16% (ზრდა 9%), საფრანგეთი 10% (ზრდა 29%).

### იმპორტი

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი 46%-ით გაიზარდა და 254 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო სამრეწველო პროდუქციის იმპორტი გაიზარდა 28%-ით და 1483 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

### ევროკავშირიდან იმპორტი გაიზარდა შემდეგ პროდუქციაზე:

- შაქარი - იმპორტი 7.6 მლნ. აშშ დოლარი (კლება 28%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: საფრანგეთი 80% (ზრდა 4-ჯერ), ნიდერლანდები 19% (ზრდა 168%).
- ფრინველის ხორცი - იმპორტი 10.9 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 6%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: ნიდერლანდები 40% (ზრდა 77%), გერმანია 27% (კლება 13%), საფრანგეთი 11% (ზრდა 62%).

- **კარაქი** - იმპორტი 12 მილიონი აშშ დოლარი (ზრდა 82%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: საფრანგეთი 61% (ზრდა 77%), ნიდერლანდები 12% (2022/6-0), ფინეთი 15% (კლება 6%).
- **საკვები ინგრედიენტები** - იმპორტი 18.8 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 56%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 23% (ზრდა 38%), პოლონეთი 20% (ზრდა 152%), იტალია 11% (ზრდა 18%), ესპანეთი 6% (კლება 20%).
- **ხელსაწყოები მედიცინაში გამოსაყენებელი** - იმპორტი 25.1 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 46%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: ბელგია 30% (ზრდა 57%), გერმანია 24% (ზრდა 44%), ნიდერლანდები 22% (კლება 5%).
- **ნარეკები გამოსაყენებელი სასმელების წარმოებაში** - იმპორტი 26.3 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 53%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: საფრანგეთი 73% (ზრდა 41%), ირლანდია 17% (ზრდა 129%), გერმანია 9% (ზრდა 56%).
- **სატვირთო ავტომობილები** - იმპორტი 45 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 60%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 39% (ზრდა 51%), პოლონეთი 14% (ზრდა 90%), ნიდერლანდები 12% (ზრდა 45%), საფრანგეთი 9% (ზრდა 125%).
- **სატელეფონო აპარატები** - იმპორტი 51 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 100%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: ჩეხეთი 77% (ზრდა 158%), ნიდერლანდები 11% (კლება 2%), შვედეთი 4% (ზრდა 30%).
- **სამკურნალო საშუალებები** - იმპორტი 113.5 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 12%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 24% (ზრდა 37%), საფრანგეთი 14% (კლება 5%), უნგრეთი 14% (ზრდა 14%).
- **მსუბუქი ავტომობილები** - იმპორტი 206 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 108%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 68% (ზრდა 137%), ბელგია 7% (ზრდა 37%), პოლონეთი 4% (ზრდა 64%), ჩეხეთი 3% (ზრდა 20%).

**ევროკავშირიდან იმპორტი შემცირდა შემდეგ პროდუქციაზე:**

- **ლაბორატორიული რეაგენტები** - იმპორტი 5.8 მლნ აშშ დოლარი (კლება 41%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 43% (კლება 33%), იტალია 21% (ზრდა 13%), საფრანგეთი 15% (კლება 33%).
- **ნავთობი და ნავთობპროდუქტები** - იმპორტი 100 მლნ აშშ დოლარი (კლება 55%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: რუმინეთი 72% (კლება 42%), საბერძნეთი 11% (ზრდა 15%), გერმანია 7% (ზრდა 28%).

**საქართველო - დსთ-ს საგარეო სავაჭრო ბრუნვა**

2023 წლის იანვარ-ივნისში დსთ-ს ქვეყნებთან **სავაჭრო ბრუნვა 37%-ით გაიზარდა**, 3 642 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და მთლიანი ბრუნვის 35% დაიკავა (2022/6 - 31%). **ექსპორტი გაიზარდა 89%-ით**, 1923 მლნ. აშშ დოლარი და მთლიანი ექსპორტის 63% შეადგინა (2022/6-40%). **იმპორტი 5%-ით გაიზარდა** და 1 718 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, მთლიანი იმპორტის 24% დაიკავა (2022/6-27%).

**დსთ-ში ადგილობრივმა ექსპორტი 8%-ით გაიზარდა** 521 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს მთლიანი ექსპორტის 35% დაიკავა.

## ექსპორტი

სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი 42%-ით გაიზარდა და 480 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, სამრეწველო პროდუქციის ექსპორტი 112%-ით გაიზარდა და 1443 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა.

### ექსპორტი გაიზარდა შემდეგ პოზიციებზე:

- **სამკურნალო საშუალებები** - ექსპორტი 47.0 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 2%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: უზბეკეთი 48% (კლება 16%), აზერბაიჯანი 26% (ზრდა 17%), სომხეთი 11% (ზრდა 52%), ტაჯიკეთი 5% (ზრდა 83%).
- **სიგარეტები** - ექსპორტი 51.0 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 180%). საექსპორტო ბაზრები: ყირგიზეთი 63%, ყაზახეთი 31%, უზბეკეთი 4% (წინა წელს ექსპორტი ამ ქვეყნებში არ განხორციელებულა), რუსეთი 1% (კლება 94%),
- **უალკოჰოლო სასმელები** - ექსპორტი 54.9 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 97%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 61% (ზრდა 168%), ყაზახეთი 13% (ზრდა 164%), აზერბაიჯანი 11% (ზრდა 10%).
- **სპირტიანი სასმელები** - ექსპორტი 56.4 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 63%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 44% (ზრდა 82%), უკრაინა 22% (ზრდა 30%), ბელარუსი 15% (ზრდა 73%).
- **მინერალური წყალი** - ექსპორტი 56.8 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 46%), ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 58% (ზრდა 76%), ყაზახეთი 16% (ზრდა 6%), უკრაინა 12% (ზრდა 28%), უზბეკეთი 8% (ზრდა 81%).
- **ღვინო** - ექსპორტი 99.0 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 44%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 83% (ზრდა 41%), უკრაინა 6% (ზრდა 90%), ყაზახეთი 5% (ზრდა 25%), ბელარუსი 4% (ზრდა 101%).
- **მსუბუქი ავტომობილები** - ექსპორტი 963.5 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 300%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ყირგიზეთი 24% (ზრდა 20-ჯერ), ყაზახეთი 24% (ზრდა 7-ჯერ), აზერბაიჯანი 23% (ზრდა 75%), სომხეთი 19% (12-ჯერ).

### ექსპორტი შემცირდა შემდეგ სასაქონლო პოზიციებზე:

- **თხილი** - ექსპორტი 6.0 მლნ. აშშ დოლარი (კლება 13%), ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 33% (ზრდა 31%), სომხეთი 21% (კლება 62%), უკრაინა 18% (ზრდა 150%).
- **სატელეფონო აპარატები** - ექსპორტი 8.1 მლნ. აშშ დოლარი (კლება 43%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ყაზახეთი 43% (ზრდა 13-ჯერ), სომხეთი 27% (კლება 26%), აზერბაიჯანი 27% (კლება 78%).
- **ფეროშენადნობი** - ექსპორტი 49.1 მლნ. აშშ დოლარი (კლება 53%), ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 92% (კლება 47%), აზერბაიჯანი 7% (კლება 61%).

## იმპორტი

დსთ-ს ქვეყნებიდან **სასოფლო-სამეურნეო** პროდუქციის იმპორტი 6%-ით გაიზარდა და 347 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. **სამრეწველო პროდუქციის** იმპორტი 4%-ით გაიზარდა და 1 371 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

### იმპორტი გაიზარდა შემდეგ პოზიციებზე:

- **ხორბალი** - იმპორტი 20.7 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 23%) იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი 98% (ზრდა 35%), უკრაინა 2% (2022/6-0).
- **არმატურა** - იმპორტი 38.4 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 11%). იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი 54% (ზრდა 168%), აზერბაიჯანი 42% (კლება 39%).
- **მსუბუქი ავტომობილები** - იმპორტი 43.6 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 4-ჯერ) იმპორტიორი ქვეყნები: უკრაინა 64% (ზრდა 13%), აზერბაიჯანი 24% (ზრდა 6-ჯერ), რუსეთი 5% (ზრდა 69%).
- **ნავთობის აირი** - იმპორტი 275 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 19%) იმპორტიორი ქვეყნები: აზერბაიჯანი 69% (კლება 2%), რუსეთი 31% (ზრდა 115%).
- **ნავთობი და ნავთობპროდუქტები** - იმპორტი 376 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 13%) იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი 85% (ზრდა 75%), თურქმენეთი 8% (კლება 70%), აზერბაიჯანი 5% (კლება 59%).

### იმპორტი შემცირდა შემდეგ პოზიციებზე:

- **ხორბლის ფქვილი** - იმპორტი 24.6 მლნ. აშშ დოლარი (კლება 15%). 99% იმპორტის განხორციელდა რუსეთიდან.
- **სპილენძის მადნები და კონცენტრატები** - იმპორტი 121.40 მლნ. აშშ დოლარი (კლება 34%). იმპორტიორი ქვეყნები: სომხეთი 98% (კლება 35%), აზერბაიჯანი 2% (ზრდა 53%).